რუსთავის საქალაქო და გარდამნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების 2022 წლის საქმიანობის ანგარიში



სარჩევი

სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები ---------- 2

მცირე საოფისე სივრცე ---------- 12

სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შშმ პირებისთვის ---------- 15

ბავშვზე მორგებული გარემო ---------- 31

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ---------- 35

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებზე
დაზარალებული პირების (და მათი ოჯახის წევრების) უსაფრთხოების დაცვა ---------- 42

სხდომის გრაფიკების ამსახველი მონიტორი ---------- 43

საქმისწარმოების სისტემაში შესასვლელი QR კოდი ---------- 44

სასამართლო მედიაცია ---------- 45

შეხვედრები ---------- 47

გამოცემული ბრძანებები ---------- 50

ინფორმაცია ჩატარებული დისციპლინური წარმოებების შესახებ ---------- 51

დასაქმებულთა შესახებ ინფორმაცია ---------- 52

გამოცხადებული კონკურსები ---------- 53

მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა ---------- 54

სტატისტიკური მონაცემები ---------- 55

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში 2022 წელს განხორციელებული სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2022 წლის ივლისში, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სხდომის დარბაზებს, ნაფიც მსაჯულთა სათათბირო და სასადილო ოთახებს ჩაუტარდა სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდე

სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ

2022 წლის აგვისტოში სასამართლოს თანამშრომელთა და მომხმარებელთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად რუსთავის საქალაქო სასამართლოს ცენტრალურ კიბეებზე მოეწყო ლითონის მოაჯირები, ხოლო შენობის წინა ტერიტორიაზე განთავსდა, შენობის იერსახესთან და ვიზუალთან შეხამებადი, ე.წ. ბაღის გრძელი სკამები.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

2022 წლის სექტემბერში, რუსთავის საქალაქო სასამართლოში შეიცვალა ავტომანქანის შეჯახების შედეგად დაზიანებული გზის გამყოფი ბარიერები, ამასთან ექსპლუატაციის შედეგად დაზიანებულ რუსთავის საქალაქო სასამართლოს საინფორმაციო დაფის ცოკოლი შეიფუთა შენობის ფასადთან შეხამებადი ფერის კერამიკული ფილებით.

რეკონსტრუქციამდე

რეკონსტრუქციის შემდეგ

2022 წლის ნოემბერში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ეზოში დაშვების მქონე ავტომანქანების შეუფერხებლად განთავსების და წვიმის წყლის დაგუბების თავიდან ასარიდებლად, განხორციელდა ეზოს გრუნტიანი ნაწილის მოხრეშვა და ამასთან მოეწყო სანიაღვრე სისტემა. ასევე, განხორციელდა შიდა რეკრეაციული სივრიცს ღობის კოსმეტიკური განახლება.

რეკონსტრუქციამდე

რეკონსტრუქციის შემდეგ

2022 წლის აგვისტოში გამოყენებულ იქნა რა საზაფხულო შვებულებების პერიოდი, სასამართლოს თანამშრომლების მიერ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში შეიცვალა შენობის ექსტერიერი, რა დროსაც ფასადის განახლების მიზნით, მოხდა ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად დაზიანებული ზედაპირის გასუფთავება და იმავე ფერში შეღებვა, როგორც რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის ფასადი. ამასთან სასამართლოს თანამშრომელთა და მომხმარებელთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად, შენობის შესასვლელ კიბეებზე მოეწყო ლითონის მოაჯირები.

რეკონსტრუქციამდე

რეკონსტრუქციის შემდეგ

2022 წლის ნოემბერში, განახლდა რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს შიდა ფოიეს ინტერიერი.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო

ამავე მიზნით, სასამართლოს სხდომის დარბაზებისა და ფოიეების კედლის საათებში განთავსდა სასამართლოს თემატიკასთან დაკავშირებული სიმბოლოები.

სასამართლო სხდომების შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად, მოდერნიზდა სხდომის დარბაზები და 2022 წელს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ყველა სხდომის დარბაზში განთავსდა მულტიფუნქციური პრინტერი. შედეგად გარდა იმისა, რომ ყველა დარბაზი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით და ყველა საჭირო ელექტრონული პროგრამებით, რომელიც უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში სასამართლო სხდომების დისტანციურ რეჟიმში შეუფერხებლ წარმოებას, სხდომის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობის პარალელურად შესაძლებელია:

- ✓ ვიდეო და ელექტრონული მტკიცებულებების გამოკვლევა;
- ✓ პროცესის მონაწილეთა დისტანციური ჩართვა;
- ✓ ბავშვზე მორგებულ გარემოში მყოფი არასრულწლოვნის და თანმხლები კანონიერი წარმომადგენლის, ადვოკატის და ფსიქოლოგის სხდომაში მონაწილეობა;
- ✓ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შერჩევა;
- ✓ დოკუმენტების ასლის გადაღება;
- ✓ დოკუმენტების დასკანერება;
- ✓ დოკუმენტების ამობეჭდვა.

2021 წლიდან რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობასთან თვალსაჩინო ადგილზე განთავსდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს საინფორმაციო დაფა.

აღნიშნული საინფორმაციო დაფა გახდა მოტივატორი მასზე დატანილი გამოსახულება გამხდარიყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს სიმბოლო და 2022 წელს, მისი გამოსახულებით დამზადდა სამკერდე ნიშნები და სასაჩუქრე ნივთები.



2022 წლის თებერვალში, რუსთავის საქალაქო სასამართლოში არსებული მცირე ფართის რაციონალურად გამოყენების და სასამართლოს წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, გაზიარებულ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით, ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიეში მოეწყო მცირე საოფისე სივრცე.*** მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მცირე საოფისე სივრცის განთავსებისთვის საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ 1მ2 ფართი.

მცირე საოფისე სივრცე აღჭურვილია ინდივიდუალური სავენტილაციო, ელექტრო და ინტერნეტ ქსელებით. საოფისე სივრცის კედლები დაფარულია ხმის დამხშობი ზედაპირით, რაც უზრუნველყოფს საოფისე სივრცეში მყოფი პირის მაქსიმალურ მყუდროებას და ამასთან, შეუძლებელს ხდის მისი ხმოვანი აქტივობების სმენადობას საოფისე სივრცის გარეთ მყოფი პირებისთვის.

აღნიშნულ საოფისე სივრცეში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელი გახდა:

- ✓ საოფისე სივრციდან სხდომის დარბაზში მოწმეების დისტანციური დაკითხვა;
- ✓ დისტანციურად მიმდინარე სხდომებში სასამართლოს შენობაში მყოფი თარჯიმნის ჩართვა;
- ✓ რუსთავის საქალაქო სასამართლოში გამოცხადებული მხარეების ჩართვა სხვა სასამართლოებში მიმდინარე დისტანციურ სხდომებში.

მცირე საოფისე სივრცით დაუბრკოლებლად სარგებლობისა და ტექნიკური შეფერხებების დაუყოვნებლივ აღმოფხვრის მიზნით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2022 წლის 14 თებერვლის №115/თ ბრძანებით განისაზღვრა ორგანიზაციული საკითხები და პასუხისმგებელი პირები.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიეში მოწყობილი მცირე საოფისე სივრცე

რუსთავის საქალაქო სასამართლოში გათვალისწინებულ იქნა "საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებზე დისტანციური წესით გამართული სასამართლო სხდომების შესახებ" ევროპის საბჭოს 2021 წლის ანგარიშში და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის (ცაესის) ინსტიტუტის მიერ დისტანციური მართლმსაჯულების პრაქტიკულ სახელმძღვანელოში მითითებული რეკომენდაციები, კერძოდ, ელექტრონული მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოში ისეთი პირობების შექმნაზე, რომელიც სამართლებრივი კონსულტაციის საჭიროებისას უზრუნველყოფს ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2022 წლის 6 სექტემბრის № 510/თ ბრძანებით განისაზღვრა ცალკეული ორგანიზაციული საკითხები, რომელიც მცირე საოფისე სივრცის გამოყენებით სრულად უზრუნველყოფს ადვოკატსა და სხდომაში დისტანციურად მონაწილე ბრალდებულს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობას.

მცირე საოფისე სივრცე აღიჭურვა ყველა საჭირო ელექტრონული პროგრამით (meet.court.ge, webex, zoom, skype).

სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2022 წლის თებერვალში რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოეწყო მცირე საოფისე სივრცე, რომელიც ასევე აღიჭურვა მცირე მხედველი და წერა-კითხვის არ მცოდნე პირებისთვის რუსთავის საქალაქო სასამართლოში პილოტურ რეჟიმში მოქმედი ელექტრონული პროგრამებით.

კერძოდ, ელექტრონული პროგრამების საშუალებით მცირემხედველ და წერა-კითხვის არმცოდნე პირებს ეძლევათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად, მხოლოდ ქართულ ენაზე ხმოვანი გამოხატვით შეადგინონ სასამართლოსთვის მიმართვის მათთვის სასურველი განცხადებები (ელექტრონული პროგრამა: „recognizer“) და ასევე ხმოვანი ბრძანებით გაგზავნონ ისინი სასამართლოს კანცელარიის ელექტრონულ მისამართზე. მეორე ელექტრონული პროგრამა (reader) მცირემხედველ ან წერა-კითხვის არმცოდნე პირებს აძლევთ შესაძლებლობას, გაეცნონ (ხმოვანი ტრანსლაციით) მათთვის განკუთვნილ სასამართლოს ელექტრონულ დოკუმენტაციას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ყოველდღიურად ცდილობს რა არსებული სერვისები გახადოს კიდევ უფრო სრულყოფილი, ***2022 წლის ოქტომბრის თვეში,*** მცირემხედველი და წერა კითხვის არ მცოდნე პირთათვის განკუთვნილ ელექტრონულ პროგრამას დაემატა SMS შეტყობინების ფუნქცია. შესაბამისად, იმის დასტურად, რომ მცირე საოფისე სივრციდან რუსთავის საქალაქო სასამართლოში ნამდვილად გადაიგზავნა ელექტრონული განცხადება, მცირე მხედველ ან/და წერა კითხვის არ მცოდნე პირს, ელექტრონული განაცხადით სასამართლოს კანცელარიისთვის მიმართვისას, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS).

მცირემხედველ და წერა-კითხვის არმცოდნე პირებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, მოთხოვნის შემთხვევაში მიიღონ მითითებული ელექტრონული პროგრამების გამოყენების ამსხაველი აუდიო ჩანაწერი - CD დისკზე.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის მცირე საოფისე სივრცით დამოუკიდებლად სარგებლობის მიზნით მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ტაქტილური ბილიკი.

ელექტრონული პროგრამები „reader” და „recognizer”





რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს შენობის ცენტრალურ შესასვლელში მოწყობილია ეტლით მოსარგებლე პირთათვის რეკომენდაციით გათვალისწინებული დახრილი კუთხის მქონე პანდუსი. პანდუსი მოპირკეთებულია ხაოიანი ზედაპირის მქონე ქვაფენილით და გამოსაყენებლად მოსახერხებელი მოაჯირით, რაც უზრუნველყოფს ასეთი საჭიროების მქონე პირთა უსაფრთხო გადაადგილებას. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში ეტლით მოსარგებლე პირთათვის, ასევე მოწყობილია პანდუსამდე მისასვლელი ბილიკი, რომელთანაც განთავსებულია შესაბამისი ნიშნული.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო

რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის პირველ სართულზე მოწყობილია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილი, რომლის შიდა მოწყობა და გაბარიტები სრულად შეესაბამება ასეთი სივრცისთვის დადგენილ მოთხოვნებს. სველი წერტილის გამოსაყენებლად მეტი მოხერხებულობისთვის, შესასვლელი კარები აღჭურვილია ორმხრივი (შიდა და გარე) გაღების მექანიზმით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თანამშრომლების ძალისხმევით, ***2022 წლის ნოემბრის თვეში,*** გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოსთან მოეწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განკუთვნილი ავტოსადგომი, როგორც ეს მოწყობილია რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობასთან.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო

უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს შენობის და შესათავაზებელი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, შიდა და გარე სივრცეებზე განთავსდა კონტრასტული ფერის გზამკვლევი ნიშნულები.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიეში ეტლით მოსარგებლე პირთათვის, რეკომენდაციებით დადგენილ სიმაღლეზე მოწყობილია კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღებ განყოფილებასთან საკომუნიკაციო ღიობი, სამუშაო მაგიდით, რომლის უფრო მოხერხებული სარგებლობისთვის მოწყობილია ასევე დამატებითი განათება.

2022 წლის ნოემბრის თვეში, რეკომენდაციებით დადგენილ სიმაღლეზე (შენობის ფართის სიმცირის გათვალისწინებით) გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს ფოიეში მოეწყო ტრანსფორმერი სამუშაო მაგიდა, ინდივიდუალური განათებით.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

სმენისა და მეტყველების საჭიროებების მქონე და ასევე ქართული ენის არ მცოდნე პირებისთვის გარეშე პირის დახმარების გარეშე სასამართლოს მოხელეებთან კომუნიკაციის გაადვილებისა და სასამართლოს სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში გამოიყენება „გუგლ მთარგმნელი"-ს შესაძლებლობები. ამ მიზნით, როგორც რუსთავის საქალაქო სასამართლოს, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს კანცელარიის სარკმელთან მოწყობილია დუბლირებული ეკრანები. გარდა აღნიშნულისა, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სარკმელთან ხმის მიმღებ მიკროფონებთან ერთად, მოწყობილია დუბლირებული კლავიატურები, რომლის გამოყენებითაც მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა მისთვის სასურველი კითხვა სასამართლოს მოხელეს ჩამოუყალიბოს ნაბეჭდი სახით, რაც კიდევ უფრო ზრდის თარგმნის სიზუსტეს და სახელმწიფო ენის არ მცოდნე მომხმარებლებისთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობას. საყურადღებოა, რომ ჩვენს მიერ კომპიუტერული ტექნიკის ამ სახით მოწყობა სმენისა და მეტყველების საჭიროებების მქონე პირთათვის ქმნის ახალ შესაძლებლობას გარეშე პირის დახმარების გარეშე დაამყარონ კომუნიკაცია სასამართლოს მოხელეებთან და მათთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს სასამართლო სერვისები.

იმის გათვალისწინებით, რომ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სმენისა და მეტყველების საჭიროებების მქონე პირები ვერ ახდენდნენ იგლისური და რუსული ასოების მქონე კლავიატურის ეფექტურ გამოყენებას, კომუნიკაციის გაადვილების მიზნით, ***2022 წლის სექტემბერში,*** როგორც რუსთავის საქალაქო, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში მოეწყო სამ ენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული) კლავიატურები.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო

გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს შენობის ფართის სიმცირე შეუძლებლს ხდიდა რა უსინათლო, მცირემხედველი და წერა კითხვის არ მცოდნე მომხმარებლისთვის მოწყობილიყო ცალკე საოფისე სივრცე, რათა ესარგებლა რუსთავის საქალაქო სასამართლოში პილოტურ რეჟიმში ამოქმედებული სპეციალური ელექტრონული (სასამართლოსთვის მისამართი განცხადების ზეპირად (ელექტრონულ ფორმატში) შექმნისა და სასამართლოში ელექტრონულად შექმნილი დოკუმენტების აუდიო რეჟიმში მოსმენის) პროგრამებით, ასეთი სერვისის მისაწოდებლად კანცელარიის სარკმელთან მოწყობილი კომპიუტერული ტექნიკა მოდერნიზდა ამ მიზნებით გამოყენებისთვის და მომხმარებელს ინდივიდუალური ყურსასმენებით და მიკროფონით შეუძლია ისარგებლოს მითითებული სერვისით.

უსინათლო და მცირე მხედველ პირთათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობისა და შენობაში დამოუკიდებლად გადაადგილების გაადვილების მიზნით, ***2022 წლის ნოემბერში,*** გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში მოეწყო ტაქტილური ბილიკები, როგორც ეს მოწყობილია რუსთავის საქალაქო სასამართლოში

რუსთავის საქალაქო სასამართლო

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო

2022 წელს სმენა დაქვეითებული პირებისთვის, ასევე ხალხმრავალ სხდომებზე თარჯიმნის მომსახურების საჭიროების მქონე პირთა უფლებებისა და ამასთან სხდომის დარბაზში წესრიგის მაქსიმალურად დაცვის უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო სასამართლოში დაინერგა, ხმის მიმღებ - გადამცემი პორტატული სისტემის გამოყენების პრაქტიკა, რომლის გამოყენებისას ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, შეძენილი იქნა ყურსასმენების სპეციალური ბახილები.

ხმის მიმღებ - გადამცემი სისტემა

ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ყურსასმენის ბახილები

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2017 წლის 31 აგვისტოს №312/თ ბრძანებით დამტკიცებულ „რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს შინაგანაწესი“-ს 5[1] -ე მუხლის თანახმად, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლო, სამუშაო ადგილზე უზრუნველყოფს თანამშრომელთა და მოქალაქეთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვას, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობას, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ***შეზღუდული შესაძლებლობის,*** სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2019 წლის 25 თებერვლის 87/თ ბრძანებით, დადგენილია რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში, ***შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის*** სათანადო ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირები.

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციით“, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 12 მარტის №18 დადგენილებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროცესის მონაწილეებთან მუშაობის სტანდარტებისა და მეთოდიკით“ გარანტირებული უფლებების რეალიზების მიზნით, ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2022 წლის 27 ივლისის №443/თ ბრძანებით*** განისაზღვრა რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა ცალკეული მოვალეობები. აღნიშნული ბრძანების თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტი/მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სპეციალისტი, მხარისგან ან პირადი დაკვირვებით მიღებულ ინფორმაციას, რომ განსახილველ საქმეში, მხარის სტატუსით, მონაწილეობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ვალდებულია დააზუსტოს კონკრეტულად თუ რა საჭიროებები გააჩნია აღნიშნულ პირს და მითითებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოში შემოსულ საქმეებზე ან/და შუამდგომლობებზე თვალსაჩინო ადგილას მიუთითოს, რომ საქმეში მონაწილეობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ამასთან დააკონკრეტოს რა სახის ინდივიდუალური საჭიროებები გააჩნია პირს (გადაადგილების, მეტყველების, სმენის, მხედველობის ან სხვა). ამავე ბრძანების თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწე და სხდომის მდივანი/მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივანი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს საქმეებზე, რომელშიც მონაწილეობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და აღნიშნულის შესახებ მოახსენოს საქმის განმხილველ მოსამართლეს, რათა სხდომის მომზადებისას გათვალისწინებული იქნას პირის განსაკუთრებული საჭიროებები და მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები, მაგ.: ეტლით მოსარგებლეებისთვის სხდომები ჩატარდეს პირველ სართულზე არსებულ სხდომის დარბაზში, სმენის და მეტყველების შეზღუდვის შემთხვევაში დარბაზში წინასწარ იქნას შეტანილი ინდივიდუალური ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობა, ყურსასმენის ჰიგიენური ბახილებით, ფურცლები, კალმები, დისტანციური კლავიატურა და დისტანციური მაუსი. მცირემხედველი ან/და წერა-კითხვის არმცოდნე პირისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარებისას, რუსთავის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და აპარატის (თანაშემწე, სხდომის მდივანი) თანამშრომელი ვალდებულია ასეთ პირს შესთავაზოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მცირე საოფისე სივრცეში მოწყობილი ელექტრონული პროგრამით „reader”-ით სარგებლობა (ნაბეჭდი დოკუმენტების წამკითხავი პროგრამა). ამავე ბრძანებით ასევე განსაზღვრულია პირები, რომლებიც ვალდებულნი არიან დაეხმარონ სასამართლოში გამოცხადებულ მცირემხედველ ან/და წერა-კითხვის არმცოდნე პირს, გახსნას ელექტრონული პროგრამა - „reader”-ი, რათა გაეცნოს მოთხოვნილ დოკუმენტს, ამასთან უზრუნველყოს აუდიო ვერსიის CD დისკზე ჩაწერა და ადრესატისთვის ერთპიროვნულად შედგენილი აქტით გადაცემა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს შენობების და სასამართლოში არსებული ინფრასტუქტურის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სასამართლო სერვისების ხელმისაწვდომობის (შენობაში გადაადგილება, საჭირო ინფორმაციის და დოკუმენტების მიღება, სხდომის განრიგის დადგენა, სხდომის დარბაზში შესვლა და უფლებამოსილ პირთან დაკავშირება) უზრუნველსაყოფად, ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 ივლისის №343/თ ბრძანებით*** განსაზღვრულია მანდატურის სამსახურის მანდატურების ცალკეული მოვალეობები, კერძოდ: მანდატურებს დაევალათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დამოუკიდებლად გადაადგილების შეზღუდვის და ეტლით მოსარგებლე პირთათვის გადასაადგილებელ პანდუსს და მასთან მისასვლელ გზას, რათა არ მოხდეს მათი უსაფუძვლო ბლოკირება და ასეთის შემთხვევაში დაუყონებლივ მიიღონ ზომები შეფერხების აღმოსაფხვრელად, თუ ეტლით მოსარგებლეს პანდუსზე ასასვლელად ესაჭიროება დახმარება №1 საგუშაგოს მანდატური (რუსთავის საქალაქო სასამართლო) ატყობინებს მანდატურის სამსახურის უფროსს დახმარების ორგანიზებისთვის, ხოლო №2 საგუშაგოს შემთხვევაში (გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლო) დახმარებას უზრუნველყოფს პირადად. სასამართლოს შენობაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (გადაადგილების, მეტყველების, სმენის ან მხედველობის განხრით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირის შემოსვლისთანავე მანდატურის სამსახურის მანდატურები ვალდებულნი არიან გამოიჩინონ განსაკუთრებული გულისხმიერება და დაინტერესდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებით და სასამართლოში გამოცხადების მიზეზით, ასევე დაეხმარონ კონკრეტული საჭიროების დასაკმაყოფილებლად სასამართლოს სივრცეში გარკვევასა და უფლებამოსილ პირთან დაკავშირებაში. ამავე ბრძანების თანახმად, თუ გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვის გამო ეტლით მოსარგებლე პირი გამოთქვამს სურვილს დაესწროს რუსთავის საქალაქო სასამართლოში, რომელიმე სასამართლო სხდომას, №1 საგუშაგოს მანდატური ვალდებულია მანდატურის სამსახურის უფროსის მეშვეობით შეატყობინოს ამის შესახებ კონკრეტული საქმის განმხილველ მოსამართლეს, რათა შესაძლებლობის შემთხვევაში პროცესი ჩატარდეს შენობის პირველ სართულზე არსებულ სხდომის დარბაზში და უზრუნველყოფილ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შეუზღუდავი გადაადგილება პროცესუალური სტატუსის შესაბამის ადგილამდე. თუ შესაძლებლობის შეზღუდვა დაკავშირებულია მხედველობის, სმენის ან მეტყველების შეზღუდვასთან, ამ შემთხვევაშიც ინფორმაციას აწვდის საქმის განმხილველ მოსამართლეს. ამასთან რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში, მანდატურის სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული მანდატურის მიერ ხდება დახმარებაში საჭიროების მქონე პირის მისთვის სასურველ სხდომის დარბაზამდე გაცილება და პროცესუალური სტატუსის შესაბამის ადგილას განთავსება. მაგისტრატ სასამართლოში აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს მაგისტრატი სასამართლოს მანდატური.

ბავშვზე მორგებული გარემო.

2022 წლის დეკემბერში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიეში, მცირე საოფისე სივრცის გვერდით, მოეწყო ბავშვების მოსაცდელი იზოლირებული სივრცე, რაც შესაძლებლობას იძლევა რუსთავის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე მოწმის ან დაზარალებულის სტატუსით (ბავშთან ერთად) გამოცხდებული პირი მცირე საოფისე სივრციდან სასამართლო სხდომაზე დაიკითხოს დისტანციურად, ხოლო თანმხლებმა ბავშვმა, სასამართლოს თანამშრომლის მეთვალყურეობის ქვეშ მოიცადოს და გაერთოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში ევროკავშირის და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შექმნილია ბავშვზე მორგებული გარემო, რომელიც წარმოადგენს იზოლირებულ სივრცეს, რომლის ინტერიერი და ტექნიკური აღჭურვილობა იძლევა შესაძლებლობას, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არასრულწლოვანი მოწმის ან დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაცია და ასევე, დაცულ იქნას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და ბავშვთა უფლებათა კოდექსებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ბავშვზე მორგებული გარემოს გაუმჯობესებისა და გამრავალფეროვნების მიზნით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში გადაიდგა არაერთი ქმედი ნაბიჯი. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ციფრული სისტემის მოდერნიზების შემდეგ, შესაძლებელია ბავშვზე მორგებული სივრციდან დისტანციური ჩართვები განხორციელდეს სასამართლოს ყველა სხდომის დარბაზში, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ.



თავისუფლება შეზღუდულ, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოწყობილია არასრულწლოვნის საჭიროებებზე მორგებული საკანი. საკნის იატაკი მოპირკეთებულია თბოიზოლაციის მქონე ლამინირებული საფარით, რაც საკანში არსებულ სხვა ატრიბუტებთან ერთად უფრო თბილ, კომფორტულ და ნაკლებად მატრამვირებელ გარემოს ქმნის.



რუსთავის საქალაქო სასამართლოში განხორციელებული არაერთი პროექტი ნათლად მიუთითებს, რომ სასამართლო ცდილობს მის ყოველდღიურ საქმიანობაში მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს პირველადი სერვისები და აღნიშნულში ხელშემშლელი არ იყოს მომხმარებლის ასაკი, ენის ბარიერი ან განსაკუთრებული საჭიროებები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსთავის საქალაქო სასამართლოში კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღებ განყოფილებასთან მოწყობილია საკომუნიკაციო ღიობი და სამუშაო მაგიდა, რომელიც გარდა ეტლით მოსარგებლე პირებისა განკუთვნილია, ასევე ბავშვებისთვის, სადაც იმავე სიმაღლეზე განთავსებულია ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული სასამართლოსთვის მომართვის ფორმები.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

საანგარიში პერიოდში, რუსთავის საქალაქო სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით სასამართლო სხდომების ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად გადაიდგა არაერთი ქმედითი ნაბიჯი.

საყურადღებოა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზში, ნაფიცი მსაჯულებისთვის განკუთვნილი ადგილები განთავსებულია სხდომის თავმჯდომარე - მოსამართლის მოპირდაპირედ. ნაფიც მსაჯულთა ამგვარი განლაგება ნაფიც მსაჯულებს შესაძლებლობას აძლევს შეუფერხებლად, პირდაპირი ხედით თვალი ადევნონ მოწმის (მათ შორის ტექნიკური საშუალებით დისტანციური წესით) დაკითხვის პროცესს. სხდომის დარბაზში გათვალისწინებულია ნაფიც მსაჯულთათვის მტკიცებულებების საპრეზენტაციო ეკრანი, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა შესარჩევი კომპიუტერული ტექნიკა, მატერიალური მტკიცებულებების გამოსაკვლევი მაგიდა, მოწმეების დისტანციური დაკითხვის ტექნიკური საშუალებები, ასევე პრესისთვის განკუთვნილი სპეციალური ადგილი.

ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზის ამგვარი მოწყობა გამორიცხავს ნაფიცი მსაჯულების სახეების ფოტო-ვიდეო გადაღებას და მათ პიროვნულ კონფიდენციალურობას გარეშე პირებისთვის, ასევე გამორიცხავს რაიმე სახის უკანონო კომუნიკაციას ან/და ემოციურ ზეგავლენას სხდომის დარბაზში მყოფი დამსწრე მოქალაქეებისგან.

ნაფიც მსაჯულთა მეტი უსაფრთხოებისთვის, ნაფიცი მსაჯულების განსათავსებელი სივრცე დარბაზის დანარჩენი ნაწილისგან გამიჯნულია დაჯავშნული შუშით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოწყობილია სათანადო ტექნიკით აღჭურვილი ნაფიც მსაჯულთა სათათბირო და სასადილო ოთახები.

2022 წლის სექტემბერში, ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახი აღიჭურვა სასამართლოს სპეციალისტის გამოსაძახებელი ღილაკით. ოთახი ასევე აღჭურვილია საპრეზენტაციო დაფით, პროექტორით, მონიტორით და პორტატული კომპიუტერით.

ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახი

ნაფიცი მსაჯულებისთვის სასადილო ოთახში ხელმისაწვდომია მხოლოდ მათი სარგებლობისთვის განკუთვნილი წყლის მადუღარა, ტოსტერი, მიკროტალღული ღუმელი და მაცივარი.

ნაფიც მსაჯულთა სასადილო ოთახი

2022 წლის ოქტომბერში, რუსთავის საქალაქო სასამართლს შენობის ადმინისტრაციულ ნაწილში არსებულ ბიბლიოთეკაში დამონტაჟდა ტელევიზორი, რომლითაც სათადარიგო ნაფიც მსაჯულებს (ძირითადი ნაფიცი მსაჯულების თათბირის დროს), შეუძლიათ უყურონ სატელევიზიო გადაცემებს, გარდა განსახილველ საქმესთან დაკავშირებული გადაცემებისა. გარდა ამისა, შეუძლიათ ისარგებლონ სასამართლოს ბიბლიოთეკის სივრცით, სადაც შეუძლიათ გაეცნონ სასამართლოში არსებულ სამართლებრივ ბიბლიოთეკას, ოფიციალური დელეგაციების მიერ სასამართლოსათვის გადაცემულ სამახსოვრო საჩუქრებს, ასევე მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა ავტორობით/მონაწილეობით შექმნილ ნივთებს, სურათებს, ნაქარგებს და სხვა.



2022 წლის ოქტომბერში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომის დარბაზის შესასვლელში განთავსდა ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ბანერი, რომელიც ხელს უწყობს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის წარმართვის პროცესს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზის შესასვლელში არსებული ბანერი



ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მიმდინარეობისას, მსაჯულობის კანდიდატის სხდომის თავმჯდომარესთან კონფიდენციალური კომუნიკაციისას, რუსთავის საქალაქო სასამართლო ***2022 წლის სექტემბრიდან*** იყენებს ხმის ჩამხშობ მოწყობილობას AJ-34 (ხმის ჩამხშობი).

კონფიდენციალური საუბრისას, არაუფლებამოსილი პირებისთვის საუბრის ზუსტი შინაარსის სმენადობის თავიდან ასარიდებლად განკუთვნილი მოწყობილობა

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის გაადვილების და მსაჯულობის კანდიდატებისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მეტად ხელმისაწვდომობის მიზნით, ***2022 წლის სექტემბერში,*** რუსთავის საქალაქო სასამართლომ შეიმუშა QR კოდი, რომლიც დაიტანება ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის გასაგზავნ უწყებაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატისთვის გასაგზავნი უწყება

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის განკუთვნილ უწყებაზე დატანილი QR კოდი

მითითებული QR კოდის მეშვეობით მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა პირდაპირ შევიდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ვებ გვერდის (www.court.ge) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებულ გვერდზე, სადაც განთავსებულია ამ ინსტიტუტით დაინტერესებულ პირთათვის სასარგებლო ინფორმაცია, მათ შორის აუდიო ვერსიის სახით.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის კითხვარის შევსების გაადვილების მიზნით, ***2022 წლის ოქტომბერში,*** რუსთავის საქალაქო სასამართლოში მომზადდა კითხვარის შევსების ვიდეო - აუდიო მოდელი, რომელიც ხელმისაწვდომია რუსთავის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.court.ge).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომების ორგანიზებულად, შეუფერხებლად და საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ჩატარების უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2022 წლის 7 სექტემბრის №511/თ ბრძანებით განსაზღვრულია საორგანიზაციო საკითხები და ცალკეულ მოხელეთა მოვალეობები.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის კითხვარებისა და უწყებების ჩაბარების გაადვილებისა და მათთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2022 წლის 14 ივლისის №407/თ ბრძანებით შექმნილია საორგანიზაციო ჯგუფი და განისაზღვრა ცალკეული საორგანიზაციო საკითხები.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის დაზარალებულთა უფლებების შესახებ დირექტივა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, გენდერული ძალადობის, ახლო ურთიერთობაში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, ექსპლუატაციის ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალებულებზე და ადგენს ვალდებულებას შეიქმნას აუცილებელი პირობები, რათა შესაძლებელი იყოს დაზარალებულთა (და მათი ოჯახის წევრებს) და დამნაშავეს შორის კონტაქტის თავიდან აცილება იმ შენობაში, სადაც სისხლის სამართალწარმოება მიმდინარეობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართალწარმოება ასეთ კონტაქტს მოითხოვს.

ამ მიზნით რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობაში შეიქმნა დაზარალებულთათვის პირობები, რაც უზრუნველყოფს დაზარალებულთა და მათი ოჯახის წევრების მეორადი ვიქტიმიზაციისგან, დაშინებისგან, შურისძიებისგან, მათ შორის, ემოციური ან ფსიქოლოგიური ზიანის საფრთხისგან დაცვას ჩვენების მიცემის დროს.

ამავე მიზნით რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2022 წლის 15 მარტის №186/თ ბრძანებით განისაზღვრა ცალკეული ორგანიზაციული საკითხები.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში წლებია დანერგილია სხდომის განრიგების ელექტრონული დაფა, მაგრამ მისი განთავსების სიმაღლე და ინფორმაციის შრიფტის აღქმადობა იწვევდა შენიშვნებს მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციებისგან (კერძოდ: მონიტორის მცირე ზომები და განთავსების სიმაღლე, სირთულეს წარმოადგენდა მომხმარებლისთვის აღექვა მონიტორზე გასული ინფორმაცია), ამ გამოწვევასთან გამკლავების მიზნით, მონიტორის ზომის გაზრდის და მასზე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე, ***2022 წლის სექტემბერში,*** მოვახდინეთ ეკრანის განთავსებისა და გამოსახულების ცვლილება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიეში სხდომის გრაფიკების ამსახველი მონიტორი

სასამართლოს მომხმარებლებისთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, ***2022 წლის ოქტომბერში,*** რუსთავის საქალაქო სასამართლომ ასევე შეიმუშავა QR კოდი, რომელიც დატანილია სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების მიღების ბარათზე. QR კოდის დასკანერების შემთხვევაში სასამართლოს მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა ავტომატურად შევიდეს საქართველოს სასამართლოების საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში და სასამართლოს მიერ გაცემული მომხმარებლის და პაროლის მეშვეობით გადაამოწმოს მის მიერ შემოტანილი საქმის მიმდინარეობა.

მიღების ბარათზე დატანილი, საქმისწარმოების სისტემაში შესასვლელი QR კოდი

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში საქმის მიღების ბარათი (ცნობა)

მოქალაქეებისათვის მედიაციის ინსტიტუტის ცნობადობის ამაღლების და ამ შესაძლებლობის გამოყენების გაადვილების მიზნით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ინიცირებით და მხარდაჭერით საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან ერთად, ***2022 წლის ოქტომბერში,*** შემუშავდა QR კოდი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, დასკანერების შემთხვევაში მოქალაქემ მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მედიაციის შესახებ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდიდან.

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს კანცელარია სამოქალაქო საქმის შემოტანისას მოქალაქეს გადასცემს საქმის მიღების ბარათს, რომელზეც დატანილია QR კოდი, რომლის დასკანერების შემთხვევაში, მოქალაქეს ეძლევა შესაძლებლობა, ერთი მხრივ გაიგოს ინფორმაცია მედიაციის შესახებ და მეორეს მხრივ აღნიშნული კოდი გამოიყენოს საქმის მედიატორისთვის გადაცემის მიზნიდან გამომდინარე მედიატორის შესარჩევად.

მიღების ბარათზე დატანილი QR კოდი

2022 წელს რუსთავის საქალაქო სასამართლოში სასამართლო მედიაციას გადაეცა 28 საქმე და დასრულდა 26 საქმე. სასამართლო მედიაციას გადაცემული საქმეებიდან 14 საქმე (53.8%) დასრულდა მხარეთა შეთანხმებით.



შეხვედრები.

2022 წლის 6 აპრილს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები სტუმრობდნენ.

შეხვედრისას საუბარი შეეხო რუსთავის საქალაქო სასამართლოში განხორციელებულ პროექტებს, ამასთან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს. სტუდენტები ასევე გაეცნენ სასამართლოში შექმნილ ბავშვზე მორგებულ გარემოს და ახლად მოწყობილ მცირე საოფისე სივრცეს.

2022 წლის 16 მაისს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოს, გარდაბნის № 3 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები სტუმრობდნენ.

მოსწავლეებმა სასამართლოს შენობა და სხდომის დარბაზები დაათვალიერეს, ამასთან ისაუბრეს მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს გადაეცათ წიგნები - „ბავშვი და სამართალი“ .

2022 წლის მაისში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს, სკოლა „მილენიუმი“-ს მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები სტუმრობდნენ.

2022 წლის 23 და 29 დეკემბერს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს, რუსთავის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ. მოსწავლეები გაეცნენ რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობას და სასამართლოში არსებული სერვისებს, რის შემდეგაც მოსწავლეებმა ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო სხდომები ჩაატარეს.

2022 წელს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულ იქნა 724 ბრძანება (181 ბრძანებით მეტი ვიდრე 2021 წელს), ხოლო სასამართლოს მენეჯერის მიერ გამოცემულ იქნა 51 ბრძანება, რომელთაგან არცერთი არ გასაჩივრებულა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№16/ი „13" იანვარი, 2022 წელი
ქ. რუსთავი

ბრძანება

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს ამრჩევლის პროფესიული საჯარო მოხელისა და გამოსაცდელი ვადით მიღებული მოხელის შეფასების მეთოდის დამტკიცების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის და 53-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №220 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების" მე-2 თავის, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, რაიონული (საქალაქო) და საუბნეთაშორისო სასამართლოების ამრჩევლების მოხელეთა შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 24 სექტემბრის №1/251 გადაწყვეტილების და რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს ამრჩევლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან, ასევე აფამრენერი რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან განხილვის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს ამრჩევლის პროფესიული საჯარო მოხელისა და გამოსაცდელი ვადით მიღებული მოხელის შეფასების მეთოდი, შესაბამისი დოკუმენტური ბაზალის შეფასების და გასაუბრების წესი;

2. დამტკიცდეს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს ამრჩევლში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელის/გამოსაცდელი ვადით მიღებული მოხელის კომპეტენციებისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების ფორმა (დანართი№1, დანართი №2, დანართი № 3, დანართი № 4, დანართი № 5, დანართი № 6, დანართი № 7, დანართი № 8, დანართი № 9, დანართი № 10, დანართი № 11, დანართი № 12, დანართი № 13, დანართი № 14, დანართი №15, დანართი №16);

3. დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსს, რომელიც ამავე დროს ითავსებს აფამრენერი რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს უზრუნველყოს მოხელეების შეფასების პროცესის ორგანიზება აღ ბრძანებით დადგენილი წესით, ასევე აღ ბრძანების ძალაში შესვლის დღისგან უზრუნველყოს შეფასებას დაქვემდებარებულ მოხელეთა ინფორმირება შეფასების პროცედურის დაწყების თაობაზე;

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№115/ი „14" თებერვალი, 2022 წელი
ქ. რუსთავი

ბრძანება

რუსთავის საქალაქო სასამართლოში ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

2022 წლის თებერვლის თვეში, რუსთავის საქალაქო სასამართლოში განთავსდა სასამართლოში გამოცხადებულ მოწმეთა დისტანციურად დასაკითხი მცირე საოფისე სივრცე, რომელიც აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით და მიზნად ისახავს პირდაპირის ან/და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის თავიდან აცილების უზრუნველყოფას. გარდა დისტანციური სხდომების ჩატარების უზრუნველყოფისა, აღნიშნული სივრცე გათვალისწინებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოში ტტ-ტორნის რეჟიმში მოქმედი მცირეზომიანი და ნერგა-კითხვის კრბეგიდან პირისთვის ზეპირი განხილვების ნაკადიანი ფორმაში გადასვლები და ნაპეკვი დოკუმენტების ნაკეთებისი პროცესების ფუნქციონირებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო სასამართლოში დისტანციური სხდომების შეუფერხებლად ჩატარების, ამასთან მცირეზომიანი და ნერგა-კითხვის კრბეგიდან პირთათვის სასამართლოში არსებული სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოწყობილი საოფისე სივრცეთა სარგებლობის ორგანიზაციული საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვიხელმძღვანელე რა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და „თ" ქვეპუნქტებით; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით; საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, ავტოზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მორიგე მანდატური ცალის მიღებისთანავე ვალდებულია ჩართოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიემი მოწყობილი მინი საოფისე სივრცე და მასში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა, ამასთან დარწმუნდეს მის გამართულობაში. ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ქსელის ადმინისტრატორს. ყოველი სამუშაო დღის დასრულებისთანავე უზრუნველყოს მინი საოფისე სივრცის და კომპიუტერული ტექნიკის დენის წყაროდან გათიშვა;

2. მანდატურს სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული მანდატური ვალდებულია დღის განმავლობაში ყოველთვის მუდმივი ხელმისაწვდომობა მინი საოფისე სივრცის განმარტოდ

2022 წელს, 5 შემთხვევაზე განხორციელდა დისციპლინური წარმოება. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 3 მოხელეს დაედო დისციპლინური სახდელი, რომელთაგან არცერთი არ გასაჩივრებულა.

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში დასაქმებულია 42 პროფესიული საჯარო მოხელე.

გენდერულ ჭრილში, რუსთავის საქალაქო სასამართლოში დასაქმებულ მოხელეთა რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

მამაკაცი - 16 (38.1%);

ქალი - 26 (61.9%).



2022 წელს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართელოს კანონის და ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-2 (ღია და დახურული კონკურსი) და 2[1] (შიდა კონკურსი) თავებით დადგენილი წესით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში, სხვადასხვა ვაკანტური თანამდებობების შევსების მიზნით ***ჩატარდა 19 კონკურსი.***

2022 წელს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართელოს კანონის და ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-3 (გამარტივებული კონკურსი) თავით დადგენილი წესით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში ***ჩატარდა 9 კონკურსი.***

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 18 აპრილის № 1/37 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის წესი“-ს საფუძველზე, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში, 2022 წლის 19 აპრილიდან - 2022 წლის 27 აპრილის ჩათვლით, ჩატარდა სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, რომლის შედეგებიც ასე გამოიყურება:

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლო							
		ვეთანხმები %	არ ვეთანხმები %	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები %	უფრო არ ვეთანხმები ვიდრე ვეთანხმები %	არ ვიცი მიჭირს პასუხის გაცემა %	გაურკვეველი/გამოტოვებული %
1	სასამართლოს ვენდობი	64.5 %	1.4 %	18.8 %	4.3 %	3.6 %	7.2 %
2	სასამართლო არის მიუკერძოებელი	56.5 %	5.8 %	17.4 %	5.1 %	4.3 %	10.9 %
3	სასამართლო არის დამუკიდებელი	57.2 %	3.6 %	11.6 %	8 %	5.8 %	13.8 %
4	სასამართლო იღებს კანონიერ გადაწყვეტილებებს	57.2 %	2.2 %	22.5 %	5.1 %	3.6 %	9.4 %
5	სასამართლო პროცედურები ხორციელდება გონივრულ ვადაში	47.1 %	16.7 %	13 %	7.2 %	5.8 %	10.1 %
6	მოსამართლეები არიან კომპეტენტურები/კვალიფიციურები	69.6 %	3.6 %	10.9 %	3.6 %	2.2 %	10.1 %
7	მოსამართლეები პატივისცემითა და თავაზიანად ეპყრობიან მოქალაქეებს	76.8 %	3.6 %	7.2 %	2.2 %	1.4 %	8.7 %
8	კმაყოფილი ვარ სასამართლოს მომსახურებით	68.8 %	3.6 %	13.8 %	2.2 %	3.6 %	8 %
9	სასამართლო გადაწყვეტილებები სათანადოდ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილება მკაფიო და გასაგებია	61.6 %	3.6 %	15.2 %	5.8 %	2.2 %	11.6 %
10	სასამართლო სისტემაში არ არის კორუფცია	60.1 %	7.2 %	6.5 %	3.6 %	11.6 %	10.9 %
11	სასამართლოს აპარატის მოხელეები არიან პროფესიულად კომპეტენტურები	74.6 %	2.9 %	10.9 %	1.4 %	2.2 %	8 %
12	სასამართლოს აპარატის მოხელეები პატივისცემით და თავაზიანად ეპყრობიან მოქალაქეებს	79 %	1.4 %	7.2 %	0.7 %	1.4 %	10.1 %
13	სასამართლოს აპარატის მოხელეები არიან ხელმისაწვდომი მოქალაქეებისათვის	75.4 %	2.9 %	8 %	0 %	2.2 %	11.6 %
14	სასამართლოს აპარატის მოხელეები მოქალაქეთა მოთხოვნებზე/ შეკითხვებზე პასუხს სცემენ დროულად	71.7 %	2.9 %	8.7 %	2.9 %	2.2 %	11.6 %
15	სასამართლოს საინფორმაციო სამსახურის/თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის მკაფიო და გასაგები	73.9 %	2.2 %	9.4 %	0.7 %	2.9 %	10.9 %
16	სასამართლოს კანცელარია მოქალაქეებს ემსახურება ეფექტურად	74.6 %	3.6 %	8.7 %	3.6 %	0.7 %	8.7 %
2022 წლის 19 აპრილიდან - 2022 წლის 27 აპრილის ჩათვლით გამოიკითხა 138 ადამიანი							

2022 წელს საქმეთა განხილვის სტატისტიკური მონაცემები

რუსთავის საქალაქო სასამართლო			
№	წელი	შემოვიდა	დამთავრდა
სისხლი			
1	2022 წელი	***918*** (117 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)	***884*** (144 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)
აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობები			
1	2022 წელი	***759*** (148 შუამდგომლობით მეტი ვიდრე 2021 წელს)	***759***
საგამოძიებო მოქმედების კანონიერებასთან დაკავშირებული შუამდგომლობები			
1	2022 წელი	***1927*** (174 შუამდგომლობით მეტი ვიდრე 2021 წელს)	***1927***
ადმინისტრაციული			
1	2022 წელი	***473*** (94 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)	***451*** (96 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები			
1	2022 წელი	***519*** (104 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)	***502*** (73 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)
სამოქალაქო			
1	2022 წელი	***3633*** (380 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)	***3892*** (594 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)

გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო			
№	წელი	შემოვიდა	დამთავრდა
სისხლი			
1	2022 წელი	***107*** (32 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)	***107***
სამოქალაქო			
1	2022 წელი	***957*** (136 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)	**795**
ადმინისტრაციული			
1	2022 წელი	***27*** (5 საქმით ნაკლები ვიდრე 2021 წელს)	***29***
ადმინისტრაციული სამართალდარღვევები			
1	2022 წელი	***795*** (131 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)	***733***
აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობები			
1	2022 წელი	***273*** (3 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)	***273***
საგამოძიებო მოქმედების კანონიერებასთან დაკავშირებული შუამდგომლობები			
1	2022 წელი	***631*** (115 საქმით მეტი ვიდრე 2021 წელს)	***631***


ჩვენ ერთად ვმუშაობთ წარმატებისთვის